## ტესტური დავალებების ნიმუშები

### მოდული I: უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის საფუძვლები

**„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, რა შეიძლება იყოს სარეგისტრაციო ობიექტი?**

ა. უძრავი ან მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.
ბ. მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ნივთი.
გ. მხოლოდ უძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.
დ. მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ნივთი (მათ შორის ავტოსატრანსპორტო-მექანიკური საშუალება), არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

**რეგისტრაციის მიზნებისთვის, ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს უძრავ ნივთს?**

ა. შენობა-ნაგებობა.
ბ. წიაღისეული.
გ. მცირე არქიტექტურული ფორმები.
დ. დროებითი ნაგებობა – ფარდული.

### მოდული II: გეოდეზია-კარტოგრაფიის და ინსტრუმენტმცოდნეობის საფუძვლები

**კარტოგრაფიული პროექცია არის**

ა. სფერული ზედაპირის სიბრტყეზე გაშლის მათემატიკური ხერხი.
ბ. ბადის აგება ქაღალდზე ან ელექრომატარებელზე.
გ. გეოგრაფიული ბადე გლობუსზე.
დ. მერიდიანების და პარალელების გამოსახულება ელიფსოიდზე.

**დონებრივი ზედაპირი არის**

ა. ზღებისა და ოკეანეების ზედაპირი პირობითად გაგრძელებული დედამიწის გარშემო ხმელეთის ქვეშ
ბ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება ელიფსოიდზე
გ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება გეოიდზე
დ. ზღვის და ოკეანის ზედაპირის გამოსახულება გლობუსზე

### მოდული III: გეოინფორმაციული სისტემის საფუძვლები

**როდის გამოიყენება მაკეტის ხედი (Layout view)?**

ა. რუკის შექმნისას.
ბ. მონაცემთა დათვალიერებისას.
გ. მონაცემთა რედაქტირებისა და ანალიზისას.
დ. რუკის შექმნისას და მონაცემთა რედაქტირებისა და ანალიზისას.

**რედაქტირების სეანსის დროს, რომელი ფენებია "ობიექტების შექმნის" (Create Features) ჩამონათვალში?**

ა. მხოლოდ რედაქტირებადი ფენები
ბ. ArcMap-ის დოკუმენტის ფენების ჩამონათვალში არსებული ყველა ფენა
გ. აქტიური ფენები
დ. მხოლოდ რედაქტირებადი ფენები და აქტიური ფენები